

K 222876  
3



მთარ ჯანელიძე

ივანე  
ჯავახიშვილი



თბილისი  
1996

მთარ ჯანელიძე




ქართული  
ლიბრარიონი

# ივანე ჯავახიშვილი

(ბიოგრაფიის მივიწყებული ფურცლები)

თბილისი

1996



9(47922)(032 ჯავახიჭილი)

ჯავახიჭილი, ივანე



ნაშრომში გაშუქებულია დიდი ქართველი ისტორიკოსის, თბილისის უნივერსიტეტის ფუძემდებლის ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფიის ზოგიერთი დღემდე მივიწყებული ფაქტი. დოკუმენტური მასალების საფუძველზე სახელოვანი მეცნიერი წარმოჩენილია, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შენება-განმტკიცების დაუცხრომელი მოამბე.

08788 3297809308

**რედაქტორი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ოთარ ჟორდანია

**რეცენზენტები:**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ნოდარ ასათიანი  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. პაატა სურგულაძე

იპილიანი





ნ ი ნ ა თ ქ მ ა

ხდება ხოლმე, დიდი ადამიანის ნამოღვაწარში ერთი ან რამდენიმე გამორჩეული საქმე უნებურად დაჩრდილავს დანარჩენს, თავისთავად არც თუ მცირესა და უმნიშვნელოს. სწორედ ასეა ივანე ჯავახიშვილის შემთხვევაში. ბატონი ივანე ქართული უნივერსიტეტის მესაძირკველა. მანვე შექმნა უმდიდრესი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომლის გვირგვინს „ქართველი ერის ისტორიის“ მრავალტომეული წარმოადგენს. შემოქმედის სახელის უკვდავსაყოფად თითოეული ამათგანი საკმარისი იქნებოდა, მაგრამ დიდი მეცნიერის ბიოგრაფიას სხვა არანაკლებ საინტერესო საქმენიც ამშვენებს, რომელთა წარმოჩენა კიდევ უფრო სრულყოფილსა და შინაარსიანს გახდის სახელოვანი მამულიშვილის ისედაც შთამბეჭდავ პორტრეტს.

K 222 876

„ივანე ჯავახიშვილი მარტო აზრის კი არა, იგი არანაკლებ მოქმედების გოლიათია“, — შენიშნავს საამაყო წინაპრის ცხოვრებისა და ღვაწლის შესწავლისადმი მიძღვნილ ნაშრომში პროფ. ს.ჯორბენაძე. ჩვენც ამჯერად ივ.ჯავახიშვილის ნააზრევზე მეტად მისი ნამოქმედარი გვაინტერესებს.

ივანე ჯავახიშვილი ქართველი ერის გამორჩეული შვილია. მადლიერი შთამომავლობა იცნობს და აფასებს მის მრავალმხრივ დამსახურებას, მაგრამ საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი მეცნიერის მოღვაწეობის ის მხარე, რომელიც საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას უკავშირდება. დღემდე შეუსწავლელია ასევე ივ.ჯავახიშვილის წვლილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმშენებლობა-განმტკიცების საქმეში. ყოველივე ამას თავისი ახსნა მოეძებნება, მაგრამ უფრო საშური და ფასეულია თვით ხარვეზის გამოსწორება.

წინამდებარე ნარკვევში გაშუქებულია ივ.ჯავახიშვილის თავგადასავლის, მისი საინტერესო ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი უსამართლოდ მივიწყებული ფაქტი. ნაშრომი უმთავრესად საარქივო დოკუმენტებზეა დაფუძნებული. ჩვენს მიერ მიკვლეული მასალის ერთი ნაწილი ახალია, ზოგი მკვლევართათვის ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო მიჩუმებული. ამ მასალების პირუთვნელი შესწავლა და ახალიზი ივანე ჯავახიშვილს სრულიად ახლებური კუთხით წარმოგვიჩენს, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწესა და ამაგდარ მამულიშვილს.



„ქართველების ნაცრისა და მიხედვების“

ერთადერთ საგნად პოლიტიკური

დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო“

ივ.ჯავახიშვილი

იმ ქართველ მამულიშვილთა შორის, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ნიადაგი შეუშზადეს, გამორჩეულია ცნობილი მეცნიერის, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი.

დიდი სწავლულის მთელი მეცნიერული მემკვიდრეობა ნათელი დადასტურებაა ერთი უცელო ჭეშმარიტებისა: საქართველო თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებას, კულტურულ აღმაშლობას აღწევდა მაშინ, როდესაც მას საკუთარი სახელმწიფოებრიობა გააჩნდა და თავისი ბედის გამგებელი თავადვე იყო.

ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული წარსულის შესწავლა, რომელიც ივ.ჯავახიშვილმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა, ბუნებრივი განგრძობა იყო ქართველი ერის დაცემული ვინაობის აღდგენის იმ უძნელესი გზისა, რომლის სათავეებთან დიდი ილია ჭავჭავაძე იდგა და, რომლის პრაქტიკული საქორეობა კიდევ უფრო ცხადი შეიქმნა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან. შემთხვევით არ წერდა ივ.ჯავახიშვილის მოწაფე და უმცროსი მეგობარი აკაკი შანიძე: „ქართველი ერის აღორძინების ისტორიაში ილია ჭავჭავაძის შემდეგ მთავარი ფიგურა და მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი უთუოდ ივანე ჯავახიშვილი იყო, რომელსაც წილად ხვდა წინამძღვრად გაძლოლოდა მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ერს უკეთესი მომავლისათვის“.

ივ.ჯავახიშვილის ისტორიული გამოკვლევები და მეცნიერის საჯარო ლექციები ეროვნულ-პატრიოტულ თემაზე, არა მარტო საკუთარი წარსულით ქართველთა დაინტერესებას აძლიერებდა, არამედ, იმავდროულად ცარიზმის კოლონიური უღლის გადაგდებისა და ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისაკენ მძლავრი მოწოდებაც იყო. მიზაკო წერეთელი, ვისაც სხვებზე უკეთ შეეძლო დაეფასებინა ქართველი სწავლულისა და მამულიშვილის ეს ღვაწლი, ივ.ჯავახიშვილისადმი მიწერილ კრძო წერილში აღნიშნავდა: „თქვენი მონოგრაფიებისა და წიგნების გამოცემა დიდი საქმეა არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ თვით ჩვენი განკაცებისათვისაც. საუკეთესო პროზაგანდაა იგი საქართველოს იდეისა. მე ეს დაკვირვებით და გამოცდილებით ვიცი... თბილისში რომ ვყავი თვალთ ვნახე, რამდენი ურწმუნო და უმეცარი მოარჯულა თქვენმა ლექციებმა და საქართველო აწამებია“.



სახელოვანი მეცნიერისადმი რამდენიმე მონოგრაფია და ექსპერიმენტული ვალრიცხოვანი წერილია მიძღვნილი. განსაკუთრებით ფასდაუდებელია პროფესორ ს.ჯორჯენაძის საინტერესო გამოკვლევა „ცხოვრება და ღვანლი ივანე ჯავახიშვილისა“. ეს ნიგნი ორჯერ გამოიცა, მაგრამ ორივეჯერ იმ წლებში, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე წერა შეუძლებელი იყო. ამიტომაც ივ.ჯავახიშვილის საქმიანობა ამ კუთხით არსებითად გაუმუქებელი დარჩა. სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებისათვის იგი დღემდე უცნობია. არადა მეცნიერის პირად არქივსა და სხვა სიძველეთსაცავებს შემორჩა მრავალი საყურადღებო დოკუმენტი, რომლებიც დიდ მამულიშვილს სრულიად ახლებური სახით წარმოგვიჩვენს.

საარქივო მასალების შესწავლა საფუძველს იძლევა ივ.ჯავახიშვილი მივიჩნით არა მხოლოდ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, არამედ ახლად შექმნილი სახელმწიფოს — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შენება-განმტკიცების დაუცხრომელ მოამაგედ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ, რომელმაც ცარიზმი დაამხო და რუსეთის ძღვევამოსილ იმპერიას საფუძველები შეურყია, ივ.ჯავახიშვილს პეტროგრადში მოუსწრო.

საკმარისია გავცნოთ 1917 წლის თებერვალ-მარტით დათარიღებულ მეცნიერის წერილებს და ნათელი გახდება, რა მუხლჩაუდგმელად იღვწის ივანე ჯავახიშვილი რევოლუციის აღმოდებულ ქალაქში. მისი ფიქრი სამშობლოს ბედ-იღბალს დასტრიალებს, ცივსა და სუსხიან პეტროგრადში საქართველოს მომავალზე ოცნებაში უთენდება და უღამდება.

მიუხედავად მოუცლელობისა, მეცნიერი პოულობს დროს მონაწილეობა მიიღოს მრავალი კრებისა თუ სხდომის მუშაობაში, რომლებზეც ქართველი ერის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის საკითხები განიხილება. „იმოდენა კრებები და სხდომებია, რომ მოსვენება არა მაქვს. ჩვენ ვცდილობთ აქ როგორმე დავეხმაროთ ჩვენს ერს“, — წერს ივ.ჯავახიშვილი იმ დღეებში ერთ კერძო წერილში.

ზურაბ ავალიშვილი იგონებს პეტროგრადში გამართულ ქართველთა ერთ ამგვარ კრებას, სადაც შთამაგონებელი სიტყვა წარმოუთქვამს თბილისის უნივერსიტეტის მომავალ მესაძირკვეს. „ივ.ჯავახიშვილის ბაგეთაგან უეცრად რაღაც ახლებურად ამეტყველდა საქართველოს ათასწლოვანი პოლიტიკური ტრადიციით“.

საკუთარი სამშობლოს ბედუკუღმართობით შეჭირვებულ მეცნიერს თვითმპყრობელობის დამხობამ გულში იმედი ჩაუსახა. ამ



დიდმნიშვნელოვანი მოვლენით აღფრთოვანებული სნაველნი  
ნატრულობს: „ნეტავი საბოლოო და მკვიდრი გამოდგეს ქვეყნის  
ვოლუცია“.

მეფის ხელისუფლების დამხობამ საქართველოს დაკარგული  
სახელმწიფოებრიობის აღდგენის ხელსაყრელი პირობები შეუქმნა.  
„საუკუნეზე მეტია ასეთ უამსა და დროს საქართველო არ მოსწ-  
რებია“, — წერს ივ.ჯავახიშვილი. „ებლა გაბედული მოქმედებისა  
და პოლიტიკურ-ეროვნული შემოქმედების დროა“, — მიიჩნევს  
პატრიოტი მეცნიერი და დასძენს: „ყველაფერი იმაზეა დამოკიდე-  
ბული, თუ რამდენად შეთანხმებით და ბრძნულად მოვიქცევით“.  
„თუ ჩვენმა ერმა საამისო ნიჭი და უნარი გამოიჩინა, მაშინ არა  
გვიჭირს რა“, — წერს ივ.ჯავახიშვილი მ.ჯამბაკურ-ორბელიანი-  
სადმი გაგზავნილ წერილში.

წერილის ეს ფრაზა ისე როდი უნდა გავიგოთ, თითქოს მეც-  
ნიერს ქართველი ერის ნიჭსა და უნარში ეპარებოდეს ეჭვი. არა.  
იგი ყველაზე უკეთ იცნობს ქართველი ხალხის შესაძლებლობებს,  
იცის მისი დაფარული გულისნადილიც. მაგრამ სხვა რამ ალო-  
ნებს. კერძოდ ის, რომ საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი  
პოლიტიკური პარტიები საქართველოში სხვადასხვაგვარად აფასე-  
ბენ მომენტს, პრინციპულ საკითხებზე მათი დავა-კამათი შუღლსა  
და ქიშპობაშია გადაზრდილი, ერთმანეთში საერთო ენა ვერ გა-  
მოუნახავთ. პოლიტიკურ ძალთა დაქსაქსულობა კი ყველაზე დამ-  
ლუპველია ახლა, ამ გარდატეხის უამს. ვინ, თუ არა ისტორიკოს-  
მა, იცის, რომ საქართველოს ერთიანობის გზაზე უმთავრეს ნი-  
ნალობად ყოველთვის ქართველთა ქიშპი და ურთიერთგაუტანლო-  
ბა აღმართულა. ამ საუკუნოვანმა სენმა ახალი სიმწვავეთ იჩინა  
თავი საქართველოში პოლიტიკური პარტიების წარმოშობის შემ-  
დეგ. ვინრო პარტიული მისწრაფებების ეროვნულ-სახელმწიფოებ-  
რივ ინტერესებზე მალლა დაყენება და გაუთავებელი კინკლაობა  
ვნებდა და აფერხებდა საერთო საქმეს. ამიტომაც ოცნებობს მეც-  
ნიერი: „ნეტავი ჩვენში თანხმობა ჩამოვარდეს დასთა შორისო“.  
ივ.ჯავახიშვილი დარწმუნებულია, თუ საქართველოში „მოხდა შე-  
თანხმება, მაშინ ჩვენი აღორძინება ადვილი შესაძლებელი იქნე-  
ბა“, ამიტომაც აგულიანებს ამიერკავკასიის განსაკუთრებული კო-  
მიტეტის წევრად დანიშნულ თავის მეგობარ კიტა აბაშიძეს: „აბა  
შენ იცი, როგორ გაბედულად და ბრძნულად იქმნება საქართვე-  
ლოს პოლიტიკურ განახლების საქმე განხორციელებული. თქვენ  
ვითარც დროებითი მტავრობის წევრებს, ბევრი რამის გაკეთება  
შეგიძლიანთ ეხლავეო“.

გულხელდაკრეფილი არც თვითონ მჯდარა. ამ მხრივ საყუ-



რადღებოა იმხანად ბერლინში გამოშვებული „ქართული გაზეთის“ ეს ცნობა: „პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველებმა მოახდინეს კრება, რომელზედაც იქონიეს მსჯელობა საქართველოს მომავალ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია საქართველოს პოლიტიკური უფლებების აღდგენისა ავტონომიის სახით. ამ დადგენილების მთავრობისათვის შესატყობინებლად, პრესისა და საზოგადოების აზრის მოსაპოვებლად, აგრეთვე ახლო დამოკიდებულების დასაჭერად სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან, ამორჩეულ იქნა კომიტეტი, რომელშიც შედიან შემდეგი პირები: პრიალა-დოცენტი ივ.ჯავახიშვილი, პრიალა-დოცენტი ი.ყიფშიძე, ნ.გელოვანი, ვეპილი გ.სიღამონ-ერისთავი, ნ.ავალიშვილი, აჩერქეზიშვილი და პრიალა-დოცენტი ნუცუბიძე“.

ეს ინფორმაცია გაზეთში 1917 წ. 20 მაისს გამოქვეყნდა, მაგრამ იგი უფრო ადრე, — საფიქრებელია, მარტის შუა რიცხვებში მომხდარ ფაქტს ეხება. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება ივ.ჯავახიშვილის ერთ-ერთი წერილიდან ამოღებული ეს ფრაზაც: „ებლა ისეთი დრო დადგა, რომ ან უნდა განახლდეს და აღდგეს ჩვენი ავტონომია, ან არადა ახლო მომავალში მაგის იმედს თავი უნდა დავანებოთ“. ავტონომიაზე საუბარი სრულიადაც არ ნიშნავს, რომ პატრიოტი მეცნიერი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წინააღმდეგია. არა, მას საქართველოს სუვერენიტეტი უჯობს. მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ ოცნების სფეროა. ივანე ჯავახიშვილს კი არ ლალატობს რეალიზმის გრძნობა. სწორედ საღი რეალიზმია, სწავლულ ისტორიკოსს მეცხრე ციდან მკაცრ სინამდვილეში რომ აბრუნებს. მან იცის: თვითმპყრობელობის დამხობის მიუხედავად საქართველოსთვის არა თუ სრული დამოუკიდებლობის, ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მიღწევაც ძნელი იქნება. თავისუფლება თავისით არ მოდის, იგი ბრძოლით მოიპოვება. მიზანდასახული და თანამიმდევრული ბრძოლაა საჭირო საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის დასამკვიდრებლად. ამასთან ავტონომიის მოპოვება იქნება პირველი ნაბიჯი დამოუკიდებლობის გზაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს შემდეგი ნაბიჯიც. ასე არა ერთი ქართველი მოღვაწე ფიქრობდა იმხანად. მაგალითად, ბერლინური „ქართული გაზეთის“ მესვეურები პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ „ავტონომია ეს არის მოსამზადისი ხანა სრული დამოუკიდებლობისათვის“.

ალსანიშნავია, რომ „ქართული გაზეთის“ გამომცემლები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ევროპაში მოქმედ საქართველოს



განთავისუფლების კომიტეტთან და გარკვეულად მათ თვალსაზრისსაც ასახავდნენ. ამ კომიტეტის ერთი თვალსაზრისით წევრი ცნობილი მეცნიერი-ასირიოლოგი მიხაკო წერეთელი. ივანე ჯავახიშვილს მასთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდა და ხშირი მიმონერაც ჰქონდა. გამორიცხული არ არის, რომ პეტროგრადში მცხოვრებ ისტორიკოსს კონტაქტები ჰქონოდა ამავე კომიტეტის სხვა წევრებთანაც. ამაზე მიგვანიშნებს საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ერთი დოკუმენტი, რომელიც 1916 წლის დეკემბრით თარიღდება. ესაა თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ პასტრიულინის შეტყობინება პოლიციის დეპარტამენტისადმი, რომელშიც აღნიშნულია: ცნობები გვაქვს, რომ პეტროგრადში მცხოვრები ქართველები შეპყრობილნი არიან საქართველოს ავტონომიის მოპოვების იდეით. პროფესორი ჯავახიშვილი, რომელიც ისტორიკოსია, არის ავტონომიისა და ფედერალიზმის თავგამოდებული ქომაგი. იგი თავის დასკვნებს ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ასაბუთებს. ჯავახიშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნის სამსონ ფირცხალავას სახელზე ვიღაც სტუდენტის ხელით გამოგზავნა ასეთი შინაარსის წერილი: გერმანიის საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი ციმერმანი კარგად იცნობს საქართველოს საკითხს, ძალზე დაინტერესებული ამით და დაგვირდა, რომ წამოჭრას ეს საკითხი სამშვიდობო კონფერენციაზე.

იგივე დოკუმენტის ცნობთ, ივ.ჯავახიშვილი ინკოგნიტოდ გაემგზავრა სტოკჰოლმს, სადაც შეხვედრა ჰქონდა გერმანიის ელჩთან. მოლაპარაკება, რომლის შინაარსი უაღრესად გასაიდუმლოებული აქვთ, შეეზებოდა საქართველოს საკითხს.

ვნახოთ რამდენად შეესაბამება რეალობას ყოველივე ზემოაღნიშნული:

მეფის რუსეთის პოლიციისა და ჟანდარმერიის სამსახურებისათვის დამახასიათებელი იყო უბრალო და ნაკლებმნიშვნელოვანი ფაქტების გაზვიადება, ბუზის სპილოდ მოჩვენება, რათა ამ გზით თავიანთი დამსახურება უფროსების თვალში უფრო მეტად წარმოეჩინათ. ხომ არ მიმართავს მსგავს ხერხს პასტრიულინიც ჩვენ მიერ მიკვლეულ დოკუმენტში? არა. ამჯერად საქმე სხვაგვარადაა. საარქივო დოკუმენტის ის ნაწილი, რომელიც სამსონ ფირცხალავასადმი გაგზავნილ ივანე ჯავახიშვილის წერილს ეხება, სინამდვილეს ასახავს და ეჭვის საფუძველს ნაკლებად იძლევა. მაშასადამე, არსებულა ივ.ჯავახიშვილის ასეთი შინაარსის წერილი, რომელიც ხელში ჩაუგდია ჟანდარმერიას. ბუნებრივად იბადება



კითხვა: როგორ, ივანე ჯავახიშვილი არ იცავს სიფრთხილეს, როცა რუსეთის იმპერიაში გარანტირებული არ არის კორფინის დენციის საიდუმლოება და, მით უფრო ომის დროს, წერილში ისეთ თემაზე საუბრობს, როგორცაა რუსეთის მონინალმდეგე ქვეყნის — გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის დანტერესება საქართველოს საკითხით? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ივ.ჯავახიშვილის კონფიდენციალური წერილი განკუთვნილია მეგობრისადმი, თანაც იგზავნება არა ფოსტით, არამედ, უნდა ვივარაუდოთ, საიმედო და სანდო კაცის ხელით. ასეთ ვითარებაში, ჩანს, მეცნიერს ზედმეტი კონსპირაცია საჭიროდ აღარ მიუჩნევია. უფრო საყურადღებოა თვით ფაქტი, რომლის შესახებაც წერილში ყოფილა მოთხრობილი — კერძოდ გერმანიის დანტერესება საქართველოთი.

ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს საკუთარი ისტორია აქვს და იგი საკმაო დროსაც მოითვლის. თუ ორ ქვეყანას შორის ადრეულ კავშირებს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და ცხოვრების მხოლოდ კულტურული სფეროთი შემოიფარგლებოდა, XX საუკუნის 10-იანი წლებიდან მან სხვა — პოლიტიკური ელფერი შეიძინა.

ინყებდა რა დიდი ომისთვის მზადებას, გერმანიის საიმპერიო ხელისუფლების თვალთახედვის არეში ევროპისა და აზიის გზაშე-საყარზე მდებარე პატარა საქართველოც მოექცა. საქართველო-სადმი გერმანიის ეკონომიკურ და სტრატეგიულ მიმართებაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ და მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხზე, სახელდობრ, კაიზერის მთავრობის პროპაგანდისტულ საქმიანობაზე მსჯელობით დაგვამაყოფილდებით.

ვილჰელმ II საიმპერატორო კარი კარგად იცნობდა რუსეთის შინა ცხოვრების სირთულეებს. იგი ინტერესით ადევნებდა თვალს ცარიზმის უღელქვეშ მოქცეული არარუსი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამ მხრივ საქართველო სხვებზე მეტად გამოირჩეოდა. მას შემდეგ, რაც მეფის რუსეთმა ქართულ სახელმწიფოებრიობას ბოლო მოუღო და ეს მხარე თავის უუფლებო კოლონიად აქცია, საქართველოში აზვირთდა განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი ტალღა. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში აქ არ ჩამქრალა თავისუფლების მგზნებარე სული, კვლავაც ღვიოდა იდეა თვითმყოფადი არსებობისა.

გერმანიამ სცადა ესარგებლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული მცირერიცხოვან ერთა მოძრაობით. გარედან მხარდაჭერის შემთხვევაში ამ მოძრაობას შეეძლო ბზარი შეეტანა რუსეთის იმპერიულ მთლიანობაში, დაესუსტებინა მისი სამხედრო



ძლიერება. ეს კი ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკს მოახლოებულ ომში გამარჯვებას გაუადვილებდა. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მთავარ შტაბში ამ მიზნით საგანგებოდ შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა პოლონეთის, უკრაინისა და კავკასიის ჩამოშორებას რომანოვთა იმპერიისაგან. გეგმის წარმატების შემთხვევაში გერმანიასა და რუსეთს შორის წარმოიშობოდა ბუფერული სახელმწიფოები, რომლებიც გერმანიაზე იქნებოდნენ დამოკიდებულნი, განსაკუთრებით სამხედრო თვალსაზრისით. დაისვა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. საჭირო გახდა მონახულიყო ამ იდეის მატარებელი პოლიტიკური ძალა თვით საქართველოში, ან მის ფარგლებს გარეთ, რომელზედაც დაყრდნობით გაიშლებოდა მუშაობა. კაიზერის შესაბამის უწყებებს ხანგრძლივი ძებნა არ დასჭირვებიათ. ქართველებმა თავად მიაკითხეს გერმანელებს.

თვითმპყრობელობის მიერ სამშობლოდან დევნილ ქართველ მოღვაწეთა ერთი ნაწილი შვეიცარიის ქალაქებში იყო შეზიზნული. 1913 წლის დასაწყისში, სწორედ აქ, ჟენევაში ჩამოყალიბდა ორგანიზაცია სახელწოდებით „თავისუფალი საქართველოს ჯგუფი“. მისი სულისჩამდგმელები იყვნენ პეტრე სურგულაძე და ძმები გიორგი და ლეო კერესელიძეები. სახელწოდება ზუსტად შეესაბამებოდა ჯგუფის მიზანს. განზრახული იყო საქართველოს სრული ჩამოშორება რუსეთის იმპერიისაგან და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. ჯგუფმა მალე საკუთარი ჟურნალიც გამოუშვა ქართულ ენაზე და ფართოდ იწყო საქართველოს დამოუკიდებლობის პროპაგანდა.

ჟენეველებს საქართველოშიც გააჩნდათ თანამოაზრეები და მიმდევარნი. ისინი უმთავრესად თავმოყრილნი იყვნენ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ „კლდის“ გარშემო. მალე ევროპაში მანამდე არნახული მასშტაბის ომმა იფეთქა. ამ მოვლენამ სათანადო კორექტივები შეიტანა ქართველ პატრიოტთა გეგმებში. საქართველოს თავისუფლების იმედი ახლა ამ ომს დაუკავშირდა. 1914 წლის შემოდგომაზე „თავისუფალი საქართველოს ჯგუფმა“ შექმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომლის სათავეში პ.სურგულაძე იდგა. სწორედ ამ კომიტეტში დაიბადა აზრი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში ხელშეწყობა გერმანიის ხელისუფლებისათვის ეთხოვათ. ასეც მოხდა.

ზემოთ უკვე ნაჩვენები იყო, რომ ამ საკითხით თვით გერმანიაც იყო დაინტერესებული. ინტერესთა დამთხვევამ შემდგომი მუშაობა უფრო გააადვილა და კიდევაც დააჩქარა. დადებულ იქნა



ხელშეკრულება საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტსა და გერმანიის მთავრობას შორის. გერმანია თანხმობას აცხადებდა ეცნო საქართველოს სუვერენიტეტი, თუ ომში სამთა კავშირი გაიმარჯვებდა და საქართველოს მიეცემოდა შესაძლებლობა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. ქართული კომიტეტის საქმიანობა ამიერიდან გერმანულმა მხარემ დააფინანსა.

გერმანიის საიმპერატორო კართან დაკავშირების აზრი დამოუკიდებლად ბელგიაში მყოფ გიორგი მაჩაბელსაც დაებადა. ჩანაფიქრის ჭოროცხესხმა გ.მაჩაბელმა მიხაკო წერეთელთან ერთად მოახერხა. მალე ორივე ეს მოღვაწე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი გახდა. გ.მაჩაბლის ინიციატივით, დამოუკიდებლობის კომიტეტის გეგმის ზოგიერთი დეტალი კიდევ უფრო დაკონკრეტდა. კერძოდ, განთავისუფლების შემდგომ საქართველო უნდა გამხდარიყო მონარქია, რომელიმე გერმანელი პრინციტ სათავეში. საქართველოს ტახტზე დასმული პრინცი შეირთავდა ქართველ ქალს და ასე დაიწყებოდა ახალი სამეფო დინასტია.

ამგვარად ჩამოყალიბდა კაიზერის სახელისუფლო წრეებში საქართველოს საკითხი, რომლის შესახებაც აღნიშნული ყოფილა ს.ფირცხალავასადმი გაგზავნილ ივანე ჯავახიშვილის ხსენებულ წერილში.

ივ.ჯავახიშვილის ადრესატის — ს.ფირცხალავასათვის წერილში გადმოცემული ინფორმაცია რომ უცნობი არ არის, თვით წერილიდანვე ჩანს. აქ ისე ლაკონურადაა ნათქვამი: — გერმანიის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი კარგად იცნობს საქართველოს საკითხს და დაგვირდა, წამოჭრას იგი სამშვიდობო კონფერენციაზე, — თუ კაცი საქმის კურსში არ იმყოფება, ძნელად გაიგებს რასმე. მაგრამ არსებობს სხვა წყაროც იმის საილუსტრაციოდ, რომ ს.ფირცხალავა ამ კონსპირაციულ საკითხში განდობილი პირია. ხსენებული ამბების უშუალო მონაწილე რევან გაბაშვილი მოგვითხრობს: საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი გ.მაჩაბელი, ომის დაწყებიდან ახლო ხანებში, გერმანიის ხელშეწყობით, ფარულად ჩამოვიდა საქართველოში. მას დავალებული ჰქონდა, გაეგო, თუ როგორ შეხვდებოდა ქართველი ერი და მისი პოლიტიკური პარტიები დამოუკიდებლობის იდეას და თვით დამოუკიდებლობას. ქუთაისში, ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაზე შეკრებისას, საქართველოში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური პარტიების მცირერიცხოვან წარმომადგენლობას (სულ 6 კაცი), გ.მაჩაბელმა გააცნო საქმის ვითარება. აქვე მიღწეულ იქნა პრინციპული შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამო-



უკიდებლობის აღდგენის თაობაზე. სამსონ ფირცხალავა, ქოქორცის სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერთაგანია მონაწილეობდა ამ შეხვედრაში. ქუთაისის შეხვედრა უაღრესად საიდუმლო ვითარებაში ჩატარდა, იმდენად, რომ აქ განხილული საკითხის შესახებ მონაწილე პარტიების ყველა ხელმძღვანელიც კი არ იყო ინფორმირებული.

სხვათა შორის, საქართველოს საკითხით გერმანიის მთავრობის წევრთა დანტიერესების ფაქტმა, ჩვენს მიერ აღნიშნულ კონტექსტში, გაიღერა მეფის რუსეთის ყოფილი სამხედრო მინისტრის სუხომლინოვისა და მისი თანაშემწის ვ.დუმბაძის სასამართლო პროცესზეც. მაგრამ ამ მოვლენას ცოტა მოგვიანებით ჰქონდა ადგილი. მაშ საიდან უნდა სცოდნოდა ყოველივე ეს ივ.ჯავახიშვილს?

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ივანე ჯავახიშვილს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრ მიხაკო წერეთელთან. ხელნაწერთა ინსტიტუტის სიძველეთსაცავში ჩვენს მიერ მიკვლეული მასალებით ირკვევა, რომ ივ.ჯავახიშვილი ახლოს იცნობდა ამ კომიტეტის თავმჯდომარეს პეტრე სურგულაძეს (ივ.ჯავახიშვილის გამოკვლევა „ქართული სამართლის ისტორია“ დაიბეჭდა პ.სურგულაძის რედაქტორობით გამოშვალ ჟურნალ „ერის“ პირველ ნომერში 1909 წელს. პროფესიით ისტორიკოსი პ.სურგულაძე საზღვარგარეთ გამგზავრებამდე შედაგოგადაც მუშაობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში) და მისგან წერილებსაც იღებდა.

1914 წლის გაზაფხულზე ივ.ჯავახიშვილი გაეცნო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მომავალ მესამე რკველეს სპირიდონ კედიას, მონაწილეობა მიიღო რა მისი პეტროგრადის ციხიდან გამოხსნაში. მალე სპ. კედია საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის საქართველოს ფელიალის წევრი ხდება რ.გაბაშვილსა და დ.ვაჩნაძესთან ერთად. ამდენად, ივ.ჯავახიშვილს პირადი კონტაქტები გააჩნდა განთავისუფლების კომიტეტის სულ მცირე სამ წევრთან. ეს კი სრულიად საკმარისი იყო საიმისოდ, რომ მეცნიერი ამ კომიტეტის მოღვაწეობის საქმის კურსში ყოფილიყო. ხოლო, თუ ზემოხსენებულ უანდარმერიის ცნობას დაუფერებთ, ივ.ჯავახიშვილი კომიტეტის მუშაობაშიც აქტიურად ყოფილა ჩართული.

დამოწმებულ საარქივო დოკუმენტში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შვეციაში გერმანიის ელჩთან ივ.ჯავახიშვილის სტოკჰოლმში ფარული შეხვედრის ფაქტი. ეს ცნობა უანდარმერიას აგენტურის გზით უნდა ჰქონდეს მოპოვებული. შვეციის დე-



დაქალაქში გერმანიის საელჩო, ისე როგორც მსგავსი დაწესებულებები კოპენჰაგენში, ბერნსა და კონსტანტინოპოლში პირველი მსოფლიო ომის დროს მართლაც წარმოადგენდა ანტიანტის სახელმწიფოების, კერძოდ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდისტული საქმიანობის ცენტრს. ივ.ჯავახიშვილს, რა თქმა უნდა, შეეძლო პეტროგრადიდან სტოკჰოლმს გამგზავრება. ეს არც ისე ძნელი იყო, მაგრამ საიდუმლო შეხვედრებს რუსეთის მტრული ქვეყნის საელჩოში, რაც უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული, ვფიქრობთ, დიდი მეცნიერი მოერიდებოდა. მით უფრო, რომ პოლიციის მეთვალყურეობა მასზე ჯერ კიდევ არ იყო მოხსნილი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ივ.ჯავახიშვილის სტოკჰოლმში ინკოგნიტოდ ჩასვლის და იქაური შეხვედრების შესახებ რაიმე სხვა დამატებითი წყარო არ არსებობს. არც „ქართული ერის ისტორიის“ ავტორს დასცდენია სიტყვა ამ ფაქტის თაობაზე, თუნდაც მოგვიანებით. ყოველივე ამის გამო მკვლევარი მოკლებულია შესაძლებლობას რაიმე გადაჭრით ამტკიცოს, თუმცა ხელაღებით უარყოფაც არ შეიძლება, რადგან ჟანდარმერიის აღნიშნულ დოკუმენტში დაუჯერებელი არაფერია.

ცნობილია, რომ ივ.ჯავახიშვილს დასახული მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში არ ჩვეოდა შიში და უკანდახევა, იგი მეტად პრინციპული და შეუპოვარი პიროვნება გახლდათ. ამიტომაც იყო, რომ სახელოვან ისტორიკოსს არა ერთგზის ჰქონია საქმე ცარიზმის პოლიციასა და სასამართლოსთან. 1939 წლის 7 იანვარს, რუსულ ენაზე შევსებულ კადრების აღრიცხვის ფურცელში, კითხვაზე — „იყავით თუ არა რეპრესირებული მეფის ხელისუფლების დროს?“ — ივ.ჯავახიშვილი პასუხობს: „Сидел в Крестах за участие в „Ветровской демонстрации“, привлечен был к судебной ответственности за монографию „Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.“, которая была конфискована и по постановлению Суда уничтожена“.<sup>19</sup>

აქ აღნიშნულ პირველ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 1897 წელს, ივ.ჯავახიშვილის ჭაბუკობის უამს, როცა მომავალი მეცნიერი პეტერბურგის უნივერსიტეტის მხოლოდ მეორე კურსის სტუდენტი იყო. ამ მოვლენას ს.ფირცხალავა შემდეგნაირად აგვიწერს: „პეტრე-პავლეს ციხეში დამწყვედი იყო ახალგაზრდა ქალი ვეტროვა, რომელიც ისე გაამწარა ზედამხედველების უხეშმა მოქცევამ, რომ ტანზე ნავთი გადაისხა და თავი დაიწვა. ამ აბაჯამა დიდი მღელვარება გამოიწვია სტუდენტებში, გაიმართა



გრანდიოზული დემონსტრაცია, უმაღლესი სასწავლებლის დენტების მონაწილეობით. მთავრობა შეშინდა, გამოიწვიეს პოლიცია, ჟანდარმერია, ყაზახები. პირდაპირ შემოტევა ვერ გაბედეს. ალყა შემოარტყეს სტუდენტებს, აწერეს და მერე სამ-სამი დღით ყველანი ციხეში ჩასვეს". დაპატიმრებულ სტუდენტთა შორის იყო ივ.ჯავახიშვილიც.

მეორეჯერ, 1906 წელს, მართალია პატიმრობას გადაურჩა, მაგრამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში კი მიცემული იყო. ამ წელს ივ.ჯავახიშვილმა დაწერა და პეტერბურგში რუსულად გამოაქვეყნა ნარკვევი „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში“. გამოკვლევა უმთავრესად გასული საუკუნის ისტორიას ეხება, მაგრამ მეცნიერი უყურადღებოდ არ ტოვებს ნაშრომზე მუშაობის თანადროულ მოვლენებსაც, კერძოდ გურიის გლეხთა მღელვარებებს და მიუთითებს, თუ როგორ გადაიქცა აგრარულ ნიადაგზე დაწყებული გამოსვლები პოლიტიკურ მოძრაობად. როცა ამ წიგნის თბილისში ქართულად გამოცემა დააპირეს, ცენზურამ უარი თქვა. საქმეს ვერაფრით წაადგა იმ ფაქტის მოშველიება, რომ აღნიშნული ნაშრომი უკვე იყო გამოქვეყნებული რუსულ ენაზე. მეტიც, ცენზურის მოხსენების საფუძველზე კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა არა თუ ახალი გამოცემის ნებართვა მისცა, არამედ პეტერბურგში დაბეჭდილი წიგნიც აკრძალა და ტირაუის თითქმის ნახევარი, რომლის გაყიდვა ჯერაც ვერ მოესწროთ, კონფისკაციის შემდგომ გაანადგურებინა. თვით ივანე ჯავახიშვილი კი სასამართლო პასუხისგებაში მისცეს, „როგორც არსებული ხელისუფლებისადმი მტრული განწყობილების გამომწვევი და ხელისუფლების შეცვლისაკენ მიმართული ნაშრომის“ ავტორი. ქაჩუფელ მეცნიერს სამი წლით პეტერბურგიდან გასვლა აუკრძალეს.

1907 წლის ზაფხულში საქართველოში ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქცია განხორციელდა. გ.გვაზავამ, ფ.ჩერქეზიშვილმა და მ.წერეთელმა ქართველი ერის სახელით პეტიცია შეადგინეს და პააგის სამშვიდობო კონფერენციას გაუგზავნეს. ეს იყო ქართველი ერის პოლიტიკურ უფლებათა აღდგენის საქმეში საერთაშორისო სამართლის გამოყენების პირველი ცდა. ცარიზმის მიერ უფლებააყრილი საქართველოს საკითხით ევროპის მონაწილე საზოგადოებრივი აზრიც დაინტერესდა. პეტიციაზე ხელს აწერდა ორი ათასამდე კაცი და ქალი საქართველოს ყველა კუთხიდან. ხელმოწერები ფარულად გროვდებოდა. ეს იმიტომ, რომ რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდგომ ქვეყანაში სასტიკი რეაქცია მძვინვარებდა. ამ საქმის გამოაშკარავების შემთხვევაში მის მონაწილეებს მკაცრი სასჯელი არ ასცდებოდათ.



პეტიციის დედანი და ხელმოწერები დაცულია ოქსფორდში<sup>22</sup> ბოდლეს ბიბლიოთეკაში თავმოყრილ უორდროპთა კოლექციაში. პროფესორი გ.შარაძე, რომელმაც ქართველ მეცნიერთაგან ამ დოკუმენტებს პირველმა მიაკვლია, პეტიციაზე ხელმოწერ ცნობილ პიროვნებათა შორის ივ.ჯავახიშვილს არ იხსენიებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, სახელოვანი ისტორიკოსი დაკავშირებული უნდა იყოს ხსენებულ პოლიტიკურ ღონისძიებასთან. ქართველი ერის უფლებათა შესახებ ივ.ჯავახიშვილს სხვისგან არ ესწავლებოდა. იგი დაინტერესებული იყო ამ საკითხის არა მარტო მეცნიერული კვლევით, არამედ პრაქტიკულადაც იღვწოდა მის მოსაგვარებლად. ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ უთუოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ პეტიციის ფრანგულენოვანი ნაბეჭდი ტექსტი, რომლის სათაურია „საქართველოს ხალხის მემორანდუმი წარდგენილი 1907 წლის საერთაშორისო კონგრესზე ჰააგაში“, ივ.ჯავახიშვილის არქივმა შემოგვინახა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 1917 წელს პეტროგრადიდან თბილისში სპეციალური ვაგონით გამოგზავნილი ივ.ჯავახიშვილის არა მხოლოდ ბიბლიოთეკის, არამედ არქივისა და ნაწერების დიდი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში დაიკარგა, ხოლო პეტიციის ტექსტი კი დღესაც ისტორიკოსის ფონდში უვნებლადაა შემორჩენილი, ნათელი გახდება: პატრიოტი მეცნიერი ამ დოკუმენტს სხვაზე მეტად უფრთხილდებოდა და ინახავდა, რაც თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში სრულიადაც არ იყო უხიფათო.

1912 წელს ქართველი მამულიშვილი კიდეც ერთხელ აღმოჩნდა რეპრესირების რეალური საფრთხის წინაშე. ამჯერად იმ ანკეტების გამო, რომელიც ივ.ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეიმუშავა და გაავრცელა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართულმა სამეცნიერო წრემ. ქართულად დაბეჭდილი ანკეტის ერთი ცალი ოდესის პოლიციამ აქაური უნივერსიტეტის ერთ-ერთი ქართველი სტუდენტის ბინის ჩხრეკისას აღმოაჩინა. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობის რაოდენობის დადგენისა და მდგომარეობის შესასწავლად გამიზნული უწყინარი ანკეტა პოლიციამ საშიშ პოლიტიკურ დოკუმენტად მიიჩნია. სასწრაფოდ დაიწყო მოკვლევა და „საქმის“ ძიება, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

გაცილებით რთულად იყო საქმე 1916 წლის მიწურულს, როდესაც ივანე ჯავახიშვილით ჟანდარმერიაც დაინტერესდა და ქართველ მეცნიერს მძიმე პოლიტიკური ბრალდებები წაუყენა პოლიციის დეპარტამენტში. ამის თაობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, აქ კი დავეძნეთ, რომ თუ თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა

სამმართველოს მიერ აღძრულ საქმეს შემდგომი მსვლელება მიეცემოდა, ივ.ჯავახიშვილის ხედვრი საპრობილე იქნებოდა ქართული უნივერსიტეტის დაარსება, — უკეთეს შემთხვევაში, ხანგრძლივი დროით უნდა გადადებულიყო. გამორიცხული არ იყო არც უარესი, მაგრამ 1917 წლის თებერვალში მეფის ხელი-სუფლება დაემხო. მას თან გადაჰყვა მისი მსახური პოლიციაცა და ჟანდარმერიაც. ივ.ჯავახიშვილი საფრთხეს გადაურჩა.

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოს სულიერი თავისუფლების მოპოვება, რაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დაკარგული ავტოკეფალიის აღდგენაში გამოიხატა. პეტროგრადის ქართველობამ, რომელთა შორის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურას ივ.ჯავახიშვილი წარმოადგენდა. თავისი წვლილი შეიტანა ამ უდიდესი ეროვნული საქმის მოგვარებაში.

ჯერ კიდევ 1917 წლის 11 მარტს წერდა ივ.ჯავახიშვილი კიტა აბაშიძეს: „მე მგონია ჩვენს სამღვდელოებას და მრევლს შეუძლიანთ საეკლესიო კრება მოიწვიონ და საქართველოს ეკლესიის თვითმწესობა აღადგინონ, აირჩიონ კათოლიკოზი და ეს მთავრობას და ლეოვს აცნობონ“. საქართველოში საამისოდ ნიადაგი შემზადებული იყო. ქართული სამღვდელოება და ეროვნულ-პატრიოტული ძალები დიდი ხანია იღვწოდნენ ამ მიმართებით.

1917 წლის 12 მარტს (ახალი სტილით 25 მარტი), დიმიტრი თავდადებულის ხსოვნის დღეს, მცხეთაში, სვეტიცხოველის ტაძარ-გალავანში, საეკლესიო კრებამ 10 ათასი კაცის თანდასწრებით გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის განახლება. კათალიკოსის არჩევამდე ეკლესიის წინამძღოლობა მიენდო გურია-ოდიშის ეპისკოპოსს ლეონიდეს, პარალელურად სასულიერო და საერო პირების შემადგენლობით შეიქმნა ეკლესიის დროებითი მმართველობა — აღმასრულებელი კომიტეტი. ეს გადწყვეტილება დაუყოვნებლივ გაიგზავნა პეტროგრადში.

დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხი განსახილველად იურიდიულ კომისიას გადასცა. კომისიამ ისეთი ცვლილებები შეიტანა მასში, რომ საქმეს ჩაშლის საფრთხე დაემუქრა. ეს შეუტყვია ივანე ჯავახიშვილს, რომელიც ზ.ავალიშვილთან ერთად სასწრაფოდ სინოდის ოპერ-პროკურორს ლეოვს ეწვია. „ზურაბსა და მე საათნახევრის განმავლობაში კამათი მოგვიხდა მასთან და ბოლოს დავიყოლიეთ და იურიდიული კომისიის აზრი უარვაცოფინეთ. ჩვენ... ვარჩიეთ ის დებულება, რომელიც მარისა და ბენაშევიჩის თანდასწრებით საეკლესიო სამართლის მეცნიერთ შეემუშავებინათ. არც ეს დებულებაა მთლად



დამაკმაყოფილებელი, მაგრამ საქმე მთლად ილუპებოდა და იეს სჯობდაო", — იტყობინებოდა ივ.ჯავახიშვილი.

მთავრობის პასუხში აღნიშნული იყო: „დროებითი მთავრობა აღიარებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიობის ქართულ-ეროვნულ ხასიათს და მოქმედებს ტერიტორიით არ საზღვრავს. მართლმადიდებელი რუსების და სხვა არა ქართველთა ეკლესიების მართვა-გამგეობა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ხელში რჩება“. ხელისუფლების გადაწყვეტილებაში განმარტებული არ იყო, თუ ვინ იგულისხმებოდა არა ქართველებში, რაც მავანსა და მავანს ნებისმიერი ინტერპრეტაციის საშუალებას მისცემდა. ივ.ჯავახიშვილმა და ზ.ავალიშვილმა სინოდის ობერ-პროკურორთან შეხვედრისას გაარკვიეს, რომ არა ქართველებში აქ ბერძნები და აისორები არიან ნაგულისხმევი. ჩანს, ლეოვის სიტყვიერმა პასუხმა დიდად ვერ დააიმედა მეცნიერი. ამიტომაც წერდა დალონებით: ვაი, <sup>27</sup>აჟუ აფხაზები და ოსებიც რუსულ ეკლესიას დაუქვემდებარონო.

დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებას საქართველოში უკმაყოფილოდ შეხვდნენ. ეკლესიის ექსტერიტორიალურ ავტოკეფალიობასა და კანონიკური პრინციპის დარღვევას (ერთ საეკლესიო მხარეში ორი ერთი-მეორეზე დამოუკიდებელი ეკლესიის დაშვება) არ შეიძლებოდა გულისხმრომა არ გამოეწვია. ქართული ეკლესიის დროებითმა მმართველობამ უკანონო უწოდა და უარყო პეტროგრადიდან მოსული გადაწყვეტილება. მონინავე ქართველი საზოგადოებრიობა იზიარებდა ამ შეხედულებას და თანაუგრძნობდა ეკლესიის მესვეურთ. დროებით მთავრობას გაეგზავნა საპროტესტო დეპეშა.

ასეთ ვითარებაში, საკითხის შესასწავლად და მოსაგვარებლად მთავრობამ საქართველოში გამოგზავნა საეკლესიო სამართლის ცნობილი სპეციალისტი, პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ვ.ბენაშევიჩი.

„ბენაშევიჩი კარგი კაცია, ჩვენ თანაგვიგრძნობს. ... უნდა კარგა დაუხვდეს ქართული სამღვდელეობა და საზოგადოება. წინასწარ მომზადებაა საჭირო“. იქნებ მანდ მოლაპარაკების დროს როგორმე მშვიდობიანად შეთანხმდეთ ბენაშევიჩთანო, წერდა ივ.ჯავახიშვილი კიტა აბაშიძეს.

1917 წლის 13 აპრილს ვ.ბენაშევიჩი თბილისში ჩამოვიდა. რამდენიმე დღეში ეკლესიის დროებით მმართველობასთან ერთად შედგენილ იქნა 14 პუნქტისაგან შემდგარი „საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დებულება“, რომელიც მოგვიანებით დაამტკიცა დროებითმა მთავრობამ. დეკლარაციით ქართულმა ეკლესიამ მხოლოდ ნაციონალური ავტოკეფალიობა მიიღო.

169-04 T



საქართველოს ეკლესია იძულებული გახდა დაეთმო, მაგრამ მასთან განაცხადა, რომ „იხსნის პასუხისმგებლობას ისტორიისა და მსოფლიო ეკლესიის წინაშე ამ ანტიკანონური პრინციპის შემოტანისათვის“.

ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დააგვირგვინა 1917 წლის 8-17 სექტემბერს გამართულმა საეკლესიო კრებამ, რომელმაც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩია კირიონ II. რაფიელ ინგილოს (ივანიცკი) სიტყვით, ეკლესიის ავტოკეფალობის დაბრუნება „წინამორბედად მოევლინა საქართველოს პოლიტიკურ აღდგენას“.

1917 წლის აპრილში ივანე ჯავახიშვილი პეტროგრადიდან სამშობლოში დაბრუნდა. მეცნიერმა მთელი თავისი ძალისხმევა ახლა აქ წარმართა უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად. ივ.ჯავახიშვილის მამულიშვილურმა გარჯამ, პრინციპულობამ და თავდადებამ შედეგი გამოიღო. აღსრულდა ქართველთა დიდი ხნის ოცნება, 1918 წლის 26 იანვარს თბილისში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი გაიხსნა. უნივერსიტეტის დაარსებამ, როგორც კეთილმა მაცნემ, მსგავსად ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის დაბრუნებისა, წინ უსწრო საქართველოს განთავისუფლებას და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ამიტომაც წერდა გრიგოლ რობაქიძე: „როცა 1918 წლის მაისის 26-ს საქართველო თავს განთავისუფლებულად აცხადებს, მის ხელმწიფობას უკვე ამართული აქვს შინაგანი სუბიუგანო: უნივერსიტეტი, ქართული კულტურის ჩაუქრობი კერა“.

თუმცა მალე უნივერსიტეტსაც და თვით საქართველოსაც მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა. აჭარა-გურიისა და ახალციხის მხრიდან ჩვენს ქვეყანაში ოსმალთა დამპყრობთა ნაწილები შემოიჭრნენ.

შეუძლებელია, აუღელვებლად წაიკითხო თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს საგანგებო სხდომის გადანყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა საკითხზე: „შენყდეს თუ არა ლექციები ოსმალეთის შემოტევის გამო“. საბჭოს გადანყვეტილებაში ჩაწერილია: „უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს. იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის, რომელნიც ომში წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებულ იქნეს... საშიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტს შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას“. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება ივ.ჯავახიშვილის გამონათქვამი: „დღეს საქართველოში არ არის სხვა უფრო დიდი ეროვნული დაწესებულება, ვიდრე ჩვენი უნივერსიტეტი... ეს ჩვენი თეთ-



რი შენობა ისე უნდა ანათებდეს, როგორც ციციანთა ეკლესიაში რომ ამ სიბნელეში გზა გაიკვლიოს ჩვენმა ერმაო".

სამშობლოში დაბრუნებული მეცნიერი აქტიურად ჩაერთო იმ ეროვნულ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში, რომელიც ფართოდ გაიშალა დამოუკიდებელ საქართველოში. ეროვნული საბჭოს წინადადებით, ივ.ჯავახიშვილმა, სხვა „მცოდნე კაცებთან“ ერთად, მონაწილეობა მიიღო ეროვნული დროშის, ზოლო მოგვიანებით სახელმწიფო გერბის შემუშავებაში. სწავლული ისტორიკოსის აზრს აფასებდნენ და ანგარიშს უწევდნენ სკოლის გაეროვნულობის, ქართული ტოპონიმ კის აღდგენის საქმეში და სხვ. ამ თვალსაზრისით არა ერთი საყურადღებო ცნობაა გაფანტული იმდროინდელ პერიოდულ პრესაში. მაგალითად, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იტყობინებოდა: „გზათა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის განკარგულებით ბაქოს მიმართულებით სადგურებს უნდა დაერქვას შესაფერი ქართული სახელები. ამ მიზნით შესდგა კომისია, რომელშიც მონაწილეობის მიღება უნდა ეთხოვოს პროფ. ივ.ჯავახიშვილს, ისტორიკოს ს.კაკაბაძეს და ეთნოგრაფს პ.ინგოროცვას“.

თავისუფლების გზაზე ახლად ფეხადგმული ქართული სახელმწიფოს წინაშე უამრავმა სირთულემ და დაბრკოლებამ იჩინა თავი. ერთ-ერთი იყო საომარ მოქმედებებში გადაზრდილი კონფლიქტი მეზობელ სომხეთთან, რაც ამ უკანასკნელის საქართველოს მიმართ უსამართლო ტერიტორიულ პრეტენზიებს მოჰყვა შედეგად. საზღვრების საკითხში მაშინ ბევრი გაურკვეველობა სუფევდა. ივ.ჯავახიშვილმა სცადა მეტი სიცხადე შეეტანა ამ საქმეში. 1918 წ. 18 დეკემბერს მან უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „ქართველ სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა“, რომელიც დანერილი იყო ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე.

1919 წლის დასაწყისში ივ.ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“. წიგნი მოცულობით მცირეა, სულ რაღაც 60-იოდე გვერდს შეიცავს, მაგრამ უალრესად მნიშვნელოვანია თავისი დანიშნულების გამო.

ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას საკუთარი საზღვრების გამორკვევა და მისი ჯეროვანი დაცვის უზრუნველყოფა შეადგენდა. ივ.ჯავახიშვილის სიტყვით, „სახელმწიფოებრივს ერთეულს თავისი აუცილებელი მოთხოვნილება და არსებობის პირობები აქვს, რომელთა შორის საპატიო ადგილი საზღვრებს უჭირავს“. ამიტომაც გაისარჯა ისტორიკოსი, დანერა



და გამოსცა საგანგებო ნაშრომი, რომლითაც გაარკვია, თუ რა გორი მოხაზულობა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს წარსულში და რანაირად უნდა შემოიხაზოს იგი თანამედროვე პირობებში, „რათა აღდგეს და არ შეილახოს საერთაშორისო სამართლით, 1783 წლის რუსეთთან დადებული ტრაქტატითა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპით უზრუნველყოფილი საქართველოს პოლიტიკური უფლებები“. ივ.ჯავახიშვილი ხაზგასმით მიუთითებს, რომ სახელმწიფო საზღვრების შემოფარგვლის დროს უმთავრესი საფუძველი უნდა იყოს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი. მართალია, საერთაშორისო სამართლის ძალით საქართველოს თავისი ისტორიული საზღვრები ეკუთვნის, მაგრამ, მეცნიერის აზრით, „ზოგან, სადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის უვნებლად დათმობა შეიძლება, საქართველოს შეუძლიან დაუთმოს მეზობლებს, რომ მეზობლური განწყობილება, რომელიც საქართველოს წარსულშიც კანკაი ჰქონდა, ეხლაც თანხმობითა და მშვიდობიანობით დაიწყოს“. ამასთან ისტორიკოსი არ ივინყებს, რომ სახელმწიფოს არსებობისათვის, რათა „მისი სამოქალაქო ცხოვრება უზრუნველყოფილი იყოს“, აუცილებელია გარეშე მტრის შემოსევისაგან თავდაცვა. ამიტომ ერის ბედით და ინტერესებულნი ხელისუფლება ვალდებულია სახელმწიფო საზღვრებს სამხედრო თვალსაზრისითაც ყურადღებით მოეპყრას. გაფრთხილებად გაისმის ივ.ჯავახიშვილის სიტყვები: „ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობის და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დიდად აფასებდა ივ.ჯავახიშვილის მეცნიერულ კეთილსინდისიერებას, მის ცოდნასა და განსწავლულობას. ამიტომაც, როდესაც 1920 წლის დამდეგს, ინგლისის მთავრობის წინადადებით, დაისვა საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრებისა და ეკონომიკური საკითხების მოგვარების შესახებ, საარქივო დოკუმენტის ცნობით, საზღვრების კითხვის გასარკვევად შედგა კომისია, რომელშიც შევიდნენ გენერალი ოდიშელიძე, ივ.ჯავახიშვილი, ექვ.თაყაიშვილი და პ.ინგოროყვა. კომისიას დაევალა მასალების მომზადება, რათა იგი საქართველოში ინგლისის წარმომადგენლის უორდროპის ხელით ლონდონში გადაეგზავნათ. იმავე წყაროს თანახმად, „საქართველოს მთავრობას აზრად ჰქონია ოდიშელიძის და ჯავახიშვილის გაგზავნა პარიზსა თუ ლონდონში საზღვრების გამოსარკვევად მონვეულ კონფერენციაზე“.



საარქივო დოკუმენტში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, შედგა თუ არა საერთოდ ასეთი კონფერენცია ევროპაში თუ არა მასში მონაწილეობა ივ.ჯავახიშვილმა. უფრო სავარაუდოა, რომ ამგვარი კონფერენცია არ გამართულა. ამ ამბებიდან არც თუ დიდი ხნის შემდეგ ხომ ინგლისელებმა საქართველო დატოვეს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ერის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — დამფუძნებელი კრების მოწვევა. მისი საარჩევნო დებულება მოამზადა და 1918 წლის 20 ნოემბერს გამოაქვეყნა საქართველოს პარლამენტმა. კრების უმთავრეს დანიშნულებას ქვეყნის ძირითადი კანონის — კონსტიტუციის შემუშავება შეადგენდა, რაც ქართულ სახელმწიფოებრიობას უფრო მყარ საძირკველზე და სამართლებრივ პრინციპებზე დააფუძნებდა.

დამფუძნებელი კრების სამზადისში აქტიურად ჩაერთო ივ.ჯავახიშვილიც, მაგრამ ვიდრე ამაზე ვისაუბრებდეთ, ინტერესს იწვევს მეცნიერის იდეურ-პოლიტიკური მრწამსისა და პარტიული კუთვნილების საკითხი.

ზემოთ მითითებული იყო, რომ სახელოვანი ისტორიკოსი ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად, ერის დიდი წინამძღოლის ღირსეულ მემკვიდრედ გვევლინება ჩვენს საუკუნეში. ამდენად მისი იდეური პროფილი და მსოფლმხედველობა კამათს არ იწვევს, — იგი ეროვნულია და დემოკრატიული. ამგვარი მსოფლმხედველობის მქონე პიროვნების პარტიული კუთვნილების საკითხის გარკვევაც ძნელი არ უნდა იყოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება ქართულ სინამდვილეში ძალზე გაჭიანურდა (ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები გააჩნდა, რომლებზეც საუბარი ამჯერად სცილდება ჩვენი კვლევის სფეროს). მართალია, პარტიის შექმნის ცდას ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეში, მწერლისავე მონაწილეობით ჰქონდა ადგილი პირველი რევოლუციის ხანაში, მაგრამ იგი უშედეგოდ დასრულდა. ილიას ვერაგულმა მკვლელობამ ეს საქმე კიდევ კარგა ხნით გადასწია და მხოლოდ 1917 წლის ივლისისათვის გახდა შესაძლებელი დამფუძნებელი კონფერენციის მოწვევა. სწორედ ეს თარიღი ითვლება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის ოფიციალურ თარიღად. ამ დროისათვის ივ.ჯავახიშვილი თბილისში იმყოფებოდა, მაგრამ მისი გვარი არ ფიგურირებს ხსენებული პოლიტიკური ორგანიზაციის დამფუძნებელთა შორის. საფიქრებელია, რომ მეცნიერი იმხანად ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების კონკრეტული ღონისძიე-



ბით იყო დაკავებული და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობისათვის ვის ვერ მოიცალა. თუმცა ივ.ჯავახიშვილი არც შემდეგში დარა ამ პარტიის წევრი, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ იდეოლოგიას ბოლომდე იზიარებდა.

ივ.ჯავახიშვილს ახლო კონტაქტები აკავშირებდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ს.ფირცხალავასა და კ.აბაშიძესთან. სამსონ ფირცხალავასთან მეცნიერის დამოკიდებულებაზე უკვე გვქონდა საუბარი, რაც შეეხება კიტა აბაშიძეს, იგი ქვისლიც იყო ივ.ჯავახიშვილისა, ასე რომ, ეს მოღვაწეები ოჯახებითაც იყვნენ ურთიერთდაკავშირებული. ივ.ჯავახიშვილის ინტენსიურ ურთიერთობებს ფედერალისტური პარტიის ხელმძღვანელებთან, როგორც ჩანს, პოლიციის აგენტებში ეჭვი ალუძრავს, რომ მეცნიერი იდეურადაცაა დაკავშირებული ამ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან. საპოლიციო სამსახურის ერთი საარქივო საბუთის თანახმად, რომელიც 1910 წელს განკუთვნილია, ივ.ჯავახიშვილი დასახელებულია სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივ საპატიო წევრად აკაკი წერეთელთან, ნიკო მართან და ეპისკოპოს ლეონიდესთან ერთად. ეს ცნობა არ შეესაბამება სინამდვილეს. ქართველი ისტორიკოსი არა თუ 1910 წელს, საერთოდ არ ყოფილა ფედერალისტური პარტიის წევრი. იგი, მართალია, თანაუგრძნობდა ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ეროვნულ მისწრაფებებს, მაგრამ ვერ გაიზიარებდა და არც გაუზიარებია ფედერალისტთა სოციალისტური შეხედულებანი. ივანე ჯავახიშვილი არასოდეს შესულა არც სხვა რომელიმე პარტიის შემადგენლობაში, იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა უპარტიო ერისკაცად. კიდევ უფრო უაზრობაა ლაპარაკი აკაკი წერეთლისა და ეპისკოპოს ლეონიდეს პარტიულობაზე. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ დამფუძნებელ კრებას.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვლისათვის დაინიშნა. პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო და ფარული არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდებოდა. საკანონმდებლო ორგანოში 130 დეპუტატი იყო ასარჩევი. საარჩევნო დებულება საშუალებას იძლეოდა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს, ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და კავშირებს წამოეყენებინათ კანდიდატები თუნდაც ყველა ადგილზე.

საარჩევნო კამპანია ორთვენახევარზე მეტს გაგრძელდა. არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რესპუბლიკაში მოქმედ ძირითადი პოლიტიკური პარტიების (სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონ-



ნერთა) გარდა შეიქმნა რამდენიმე სხვა პარტია, კავშირი, ჯგუფი. საბოლოოდ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა 15 მონაწილე. თითოეულ მათგანს თავისი საარჩევნო ნომერი ჰქონდა მიკუთვნებული. ჩვენს ყურადღებას იქცევს რიგით მეთერთმეტე ორგანიზაცია სახელწოდებით — „დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი“. სწორედ ამ კავშირის სიით იყრიდა არჩევნებში კენჭს სახელოვანი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. სიაში სულ 10 კაცი იყო დასახელებული.

აღნიშნული კავშირი, როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ 1918 წლის ივლისში შექმნილა აბილისში. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ გვამცნობს: „დაარსდა პარტიათა გარეშე მყოფი ქართველების დამოუკიდებელთა პოლიტიკური კავშირი. მიზნად კავშირი ისახავს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას და მის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. კავშირს არა აქვს პარტიული პროგრამა. იმას აქვს შემუშავებული მხოლოდ პოლიტიკური პლატფორმა. მისი უმთავრესი მუხლებია: საქართველოში დამოუკიდებელ დემოკრატიული სახელმწიფოებრივი არსებობის დაცვა და განმტკიცება. საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური განვითარება დემოკრატიულ ნიადაგზე, შემოქმედებითი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა. დასახელებულ მიზნების განსახორციელებლად კავშირი აწყობს კრებებს, რეფერატებს სხვადასხვა საჭირო ბოროტო სახელმწიფოებრივ საკითხებზე; კავშირის საქმეებს განაგებს საბჭო 12 კაცისაგან შემდგარი, სახელდობრ: პროფ. ივ. ჯავახიშვილი, კონსტანტინე აფხაზი, დუტუ მეგრელი, ივანე აფხაზი, კონსტანტინე ამირეჯიბი, ესტატე მაჩაბელი, გიორგი ჯაფარიძე, ირაკლი გუნცაძე (თავმჯდომარე), გრიგოლ გაბაშვილი, ივანე აფხაზი, კონსტანტინე მაყაშვილი, დავით კარიჭაშვილი. წევრთა შორის ბევრი საზოგადო მოღვაწენი არიან... ეროვნულ საბჭოშიც დამოუკიდებელთა წარმომადგენლებია კ. აფხაზი და კ. მაყაშვილი“.

უპარტიოთა კავშირი, როგორც ვხედავთ, ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს აერთიანებდა. მათი პოლიტიკური მრწამსი არსებითად ეროვნულ-დემოკრატიულ იდეოლოგიას შეესაბამებოდა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირის მიერ წამოყენებული დემუტატობის 10 კანდიდატიდან 7 თავდაპირველად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატთა სიაში იყო შეყვანილი. მეტი სიცხადისათვის მოვიტანთ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ასარჩევად წარდგენილ უპარტიოთა კავშირის კანდიდატების სიას, რომელიც დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში.

1. ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე — პროფესორი სახელმწი-



ფო უფლებებისა (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავდაპირველ სიაში დასახელებული იყო მე-7 ნომრად);

2. ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე (ედპ-ს სიაში მე-18 ნომერი);

3. აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე — პარლამენტის წევრი (ედპ-ს სიაში მე-19 ნომერი);

4. მაყაშვილი კონსტანტინე ზაქარიას ძე — პარლამენტის წევრი (27-ე ნომერი);

5. მღვდლიშვილი მიხეილ მოსეს ძე — სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე (35-ე ნომერი);

6. ამირეჯიბი კონსტანტინე მიხეილის ძე — აგრონომი — ქიმიკოსი (28-ე ნომერი);

7. ლამბაშიძე ვახტანგ დავითის ძე — ექიმი (50-ე ნომერი);

8. გედევანიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე — საქართველოს ჯარის სარდალი;

9. დარახველიძე — კრინიცი ალექსანდრე მიხეილის ძე — მთავარი ბუღალტერი ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსი;

10. ზედგენიძე ივანე ბესარიონის ძე — ნაფიცი ვეჭილი.

უშუალოდ არჩევნების წინა პერიოდში უპარტიოთა კავშირის წევრებმა გადაწყვიტეს არა ეროვნულ-დემოკრატებთან ერთად, არამედ დამოუკიდებლად მიეღოთ მონაწილეობა დამფუძნებელი კრების არჩევნებში და წარადგინეს კიდევ ზემოთ მოტანილი თავიანთი სია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

არჩევნებმა სრული გამარჯვება მოუტანა სოციალ-დემოკრატებს. მათ ამომრჩეველთა ხმების 84% მოაგროვეს და 109 მანდატი მიიღეს. დანარჩენი 21 ადგილი სამი პარტიის — ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური და სოციალისტ-რევოლუციონერთა წარმომადგენლებმა გაიყვეს. არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირმა, ისე როგორც დანარჩენმა ათმა პოლიტიკურმა პარტიამ თუ ჯგუფმა, ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანა. კავშირის № 11 სიას თბილისში ხმა მისცა 480-მა, ქუთაისში 24-მა, ფოთში 41-მა, ქიათურაში 10-მა ამომრჩეველმა. საერთო ჯამში უპარტიოთა კავშირმა მხოლოდ ათასამდე ამომრჩევლის ხმა მიიღო, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ აღმოჩნდა.

არჩევნების ამგვარი შედეგი მოსალოდნელიც იყო. წარმატებას მიადნიეს შედარებით მრავალრიცხოვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებსაც აგიტაცია-პროპაგანდის გაცილებით ფართო საშუალება და შესაძლებლობა ჰქონდათ. ამასთან ამ პარტიებს საარჩევნო ბრძოლის მნიშვნელოვანი გამოცდილება გააჩნდათ (ეს ნა-



ლებად ითქმის ეროვნულ-დემოკრატიულებზე და, ბუნებრივად არჩევნების პროპორციული სისტემაზე მათ ნისქვილზე წყალს. თანამოაზრე ინტელიგენტთა ისეთმა მცირერიცხოვანმა გაერთიანებამ, რომელშიც ივ.ჯავახიშვილი შედიოდა, მძაფრ საარჩევნო ჭიდილში ვერ შეძლო გავლენიან პოლიტიკურ პარტიებთან გამკლავება. ივ.ჯავახიშვილი უპირველესი ეროვნული საკრებულოს მიღმა დარჩა.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში მარცხს ივ.ჯავახიშვილისათვის გული არ აუცრუებია ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე. არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას უთქვამს უარი არჩევნებში დამარცხებულ პოლიტიკურ ძალებთან, მით უფრო ცალკეულ ავტორიტეტულ პიროვნებებთან საქმიან ურთიერთობებზე. ყოველი მნიშვნელოვანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საკითხის გადაწყვეტის წინ ხელისუფლების წარმომადგენლები ეთათბირობდნენ „საქმის მცოდნე“ ადამიანთა ჯგუფებს. მათი აზრის გათვალისწინება, მართალია, არ იყო სავალდებულო, იგი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა, მაგრამ არასოდეს რჩებოდა ანგარიშგაუწვევლი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელ მანძილზე „საქმის მცოდნეთა“ შორის ივ.ჯავახიშვილს მუდამ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა.

ახლად მოწვეული საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ, რომელსაც დემოკრატიული საქართველოს ძირითადი კანონის — კონსტიტუციის პროექტის მომზადება დაევალა, თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის 7 ივნისს, კომისიაში სამუშაოდ მოინწვია თბილისის უნივერსიტეტის პროფესორები, ისტორიკოსი ივ.ჯავახიშვილი და სამართალმცოდნე ზ.ავალიშვილი.

მუშაობა ერთ წელიწადს გაგრძელდა. კომისიის წევრებმა გულდასმით შეისწავლეს აშშ და ევროპის დემოკრატიული ქვეყნების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობა, გაცნენ ამ სახელმწიფოების კონსტიტუციებს და მოამზადეს იმ დროისათვის ერთ-ერთი საუკეთესო და სრულყოფილი კონსტიტუციის პროექტი. ივ.ჯავახიშვილმა, როგორც სწავლულმა ისტორიკოსმა და მრავალმხრივ განათლებულმა მეცნიერმა, ცხოველი მონაწილეობა მიიღო ამ დოკუმენტის მომზადებაში. ნათქვამის საილუსტრაციოდ დავიმონებთ იმ სამადლობელ წერილს, რომელიც საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პ.საყვარელიძემ 1920 წლის 5 ივნისს. გაუგზავნა ივ.ჯავახიშვილს. წერილში ვკითხულობთ: „დიდად პატივცემულო ბატონო ივანე,



დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სახელმძღვანელო პირადად ჩემგანაც მოგიძღვნით უგულითადეს მადლობას მნიშვნელოვან მონაწილეობისათვის, რომელიც მიიღეთ თქვენ, სხვა მცოდნე პირებთან ერთად, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებაში.

კომისია განსაკუთრებულის კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ეს დიდი საკანონმდებლო აქტი ჩვენი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა — სრული და შედარებით უნაკლო იქნება".

1921 წლის იანვარში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დე იურე ცნეს ევროპის მეთაურმა სახელმწიფოებმა. ეს იყო დიდი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო აღიარების გზაზე. საქართველო, როგორც სრულუფლებოვანი სახელმწიფო, კუთვნილ ადგილს იჭერდა ცივილიზებულ ერთა თანამეგობრობის დიდ ოჯახში. ქართველი ერის უდიდეს სიხარულს ამ ფაქტის გამო თავის ხმა შეუერთა პირველმა ეროვნულმა უმაღლესმა სასწავლებელმა — თბილისის უნივერსიტეტმა.

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარების გამო 1921 წლის 5 თებერვალს ივ.ჯავახიშვილი უნივერსიტეტის სახელით ადრესს უგზავნის საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს. ადრესში ნათქვამია: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო თავის პირველ სხდომაზე დამოუკიდებელი საქართველოს იურიდიულად აღიარების შემდეგ აღფრთოვანებით ულოცავს დამფუძნებელ კრებასა და მთელს ერს ბრწყინვალე გამარჯვებას.

ამიერიდან ქართულ სამეცნიერო შემოქმედებას მტკიცე და შეურყეველი საფუძველი ეყრება და პირველი უმაღლესი ეროვნული სასწავლებლის პროფესორთა საბჭო თავის სასიამოვნო მოვალეობად სთვლის, მთელი თავისი ძალღონე შესწიროს ქართული მეცნიერების განმტკიცების, ერის გონებრივი დანინაურებისა და კულტურული აღორძინების საქმეს. ვაშა ქართველ ერს და მის წარმომადგენელს“.

იმავე დღეს ივ.ჯავახიშვილმა მილოცვა გაუგზავნა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას. მილოცვაში ვკითხულობთ: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო თავის პირველ სხდომაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იურიდიულად ცნობის შემდეგ მხურვალედ ულოცავს რესპუბლიკის მთავრობას ძვირფასისა და სანუკვარი საქმის ბრწყინვალედ დაგვირგვინებას და მზად არის გაორკეცებული ენერგიითა და დაუღალავი შრომით დარაჯად უდგეს საქართველოს გონებრივი ცხოვრების წინმსვლელობის საქმეს. გაუ-



მარჯოს რესპუბლიკეს მთავრობას, ქართველ ერს და მის ქვეყნულ ტურულ მომავალს“.

საქართველოს საერთაშორისო აღიარებით გამოწვეული საყოველთაო ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე თბილისის ცა ჩრდილოეთიდან მონაბერმა შავმა ღრუბელმა დაჰფარა. საბჭოთა რუსეთმა გასტეხა რა „ბოლშევიკური პირობა“, დაარღვია საქართველოს რესპუბლიკასთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება და თავისი ჯარის ნაწილები ჩვენს ქვეყანას შემოუსია. საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას უდიდესი საფრთხე დაემუქრა. რესპუბლიკის მთავრობამ 16 თებერვალს გამოაქვეყნა მიმართვა: „ყველას, ყველას, ყველას!“ მასში აღნიშნულია: „რუსეთის საბჭოთა მთავრობა იდენს ისტორიაში უმაგალითო ბოროტმოქმედებას. მას შემდეგ, რაც დაარღვია ჩვენთან დადებული ყველა ხელშეკრულებები, მან გადასწყვიტა, წითელი დროშის და ლამაზი ლოზუნგების ნიღბის ქვეშ, შეიარაღებული ძალით მოსპოს ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენობა“.

საქართველოს თავისუფლების გადასარჩენად დაირაზმა ქართული მხედრობა, საქართველოს ინტელიგენცია, სტუდენტი-ახალგაზრდობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები საგანგებო სხდომაზე შეიკრიბნენ. მათ მტკიცე სოლიდარობა გამოუცხადეს რესპუბლიკის ხელისუფლებას და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგომა ითხოვეს. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სახელით, რომელსაც ხელს აწერდნენ რექტორი ივ.ჯავახიშვილი და საბჭოს მდივანი აკ.შანიძე, საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს გაეგზავნა შემდეგი შინაარსის მიმართვა: „პატივი გვაქვს წერილობით გაცნობოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მონვეულს საგანგებო სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წლისა, ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოგახსენეთ:

ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფს ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვენ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის.



ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის".

შთამბეჭდავია სიტყვები, რომლითაც ივ.ჯავახიშვილმა სამშობლოს თავისუფლების დასაცავად ფრონტზე მიმავალ სტუდენტებს მიმართა: „მართალია გვაკლია იარაღი, გვაკლია საომარი აღჭურვილობა, გვაკლია ბევრი სხვა რამეც. მაგრამ ჩვენ ბრძენ ხალხს უთქვამს: „ვაყვაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო“. ჩვენი ეროვნული კულტურის თეთრი ტაძარი გზას დაულოცავს ყველას, ვინც ბრძოლის ველისაკენ მიემშურება“.

თავდადება საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველებისა, რომელთა შორის მრავლად იყვნენ უნივერსიტეტის წარგზავნილებიც, მტრის შესაკავებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. 1921 წლის 24 თებერვალს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ თბილისის მისადგომებთან მოხსნა საბრძოლო ხაზი, დედაქალაქი დატოვა და დასავლეთ საქართველოში დროებით შტერების შემდეგ ემიგრაციაში გაემგზავრა. მეორე დილით მტერი დაუბრკოლებლად შემოვიდა თბილისში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება და კომუნდანტის საათი ერთდროულად გამოაცხადა. |

ყოველი ქართველისათვის სათაყვანებელ თეთრ ტაძარს, რომელშიც ივანე ჯავახიშვილი მუდამ ქუდმოხდილი შედიოდა, რუსი წითელარმიელის უბოდიშოდ შემოჭრის საფრთხე დაემუქრა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ წესრიგის დაცვა მოითხოვა. პირველ დღეებში გამკითხავი არავინ იყო, მაგრამ ივ.ჯავახიშვილის გაუტყეველობამ და მტკიცე პრინციპულობამ თავისი გაიტანა. უნივერსიტეტს „შეუვალობის სიგელი“ უბოძეს. თბილისში მდგომი რუსული გარნიზონის მეთაურმა მ.ველიკანოვმა თავის ხელმოწერით ივ.ჯავახიშვილს შემდეგი მანდატი გადასცა: „Дан сей Ректору Грузинского университета тов. Джавахишвили в том, что находящееся в его введении здание Университета занятию воинскими частями не подлежит, равно как и реквизиции находящееся в нем имущество. Все нарушившие настоящее распоряжение будут привлечены к строгой ответственности“. 49

ქართველი ვრი ვერ შეეგუა საოკუპაციო რეჟიმს. მტკივნეულად განიცდიდა სამშობლოზე თავდატეხილ უბედურებას თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტობა დაუფარავად გამოთქვამდა თავის გულისწყრომას ახალი ხელისუფლებისადმი. 1921 წლის სექტემბერში, როცა უნივერსიტეტში ლექციების კითხვა განაზღაურდა, სტუდენტებმა გადანწყობეს საქართველოს მთელი მოსწავლე ახალგაზრდობის დარაზმვა და ბოლშევიკების



წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსვლა. გაიმართა სტუდენტული  
 თა წარმომადგენლების კრება. ახალგაზრდებს განზრახული ჰქონდათ  
 დათ დიდი დემონსტრაციის გამართვა, მაგრამ აშინებდათ ერთი  
 გარემოება: ვაითუ ბოლშევიკებს საპასუხოდ უნივერსიტეტი დაე-  
 ხურათ ან სულაც გაენადგურებინათ. გადაწყდა გაეგზავნათ დე-  
 ლეგაცია ივ.ჯავახიშვილთან. ამ ამბების მონაწილე გ.ნაკაშიძე  
 იგონებს: ბატონი ივანე გულთბილად მოგვესალმა და სასტუმრო  
 ოთახში მიგვიპატიუა. ამხანაგების დავალებით გავაცანი პროფე-  
 სორს ჩვენი დადგენილება და მასთან მისვლის მიზანი. მან ყუ-  
 რადღებით მოისმინა ყოველივე და გკითხრა შემდეგი: „...სტუ-  
 დენტობა ყოველგან და ყოველთვის იყო თავისი ქვეყნის მებრ-  
 ძოლთა რიგებში. ამიტომ როგორ შემიძლია მე, ქართველს და  
 თქვენს მასწავლებელს, ხელი შევიშალოთ თქვენი მამულიშვილუ-  
 რი მოვალეობის შესრულებაში, თქვენი შეურაცხყოფილი ეროვ-  
 ნული და აკადემიური ღირსების, თავისუფლების დაცვაში! იმოქ-  
 მედეთ ისე, როგორც თქვენი შეგნება და სამშობლოს სიყვარული  
 გიკარნახებთ და ნუ დაერიდებით თვით უნივერსიტეტის შენობის  
 გამოყენებას“.

სიცოცხლის დარჩენილი წლები ივ.ჯავახიშვილმა თავისუფლე-  
 ბანართმული სამშობლოს ხვედრით იცხოვრა. უბადრუკმა მედ-  
 როვეებმა სახელოვან მეცნიერს არა ერთგზის ატკინეს გული „ნა-  
 ციონალისტობის“ ბრალდებით. მაგრამ სანთელ-საკმეველმა თავის  
 გზა არ დაკარგა. თბილისის უნივერსიტეტს სამართლიანად მისი  
 დამაარსებლის სახელი მიეკუთვნა, ხოლო დიდი ისტორიკოსის  
 მეცნიერულ მემკვიდრეობაზე კვლავაც იზრდებიან თაობები. ყოვე-  
 ლივე ამასთან ერთად ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორი-  
 აში დარჩება, როგორც უებრო მამულიშვილი და უკვდავებასთან  
 წილნაყარი სამშობლოს თავისუფლებისათვის დაუცხრომლად  
 მოღვაწე ერისკაცი.

დამონემაგული ლიტერატურა და საარქივო წყაროები

1. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990 წ., 25 ნომბერი
2. მწერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ. 1990 წ., გვ. 310.
3. ზ. ავალშივილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, თბ. 1990 წ., გვ. 17.
4. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის ფონდი, საქ. N1374.
5. „ქართული გაზეთი“, 1917 წ., 20 მაისი.
6. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი „სხვადასხვა“, საქ. N321, ფურც. 338.
7. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (საქ. ცსსა), ფ. 153, აღწ. 1, საქ. N3024, ფურც. 102.
8. S. Zeterberg. Die Liga der Fremdvölker Russlands 1916-1918. Ein Beitrag zu Deutschlands antirussianischem Propagandakrieg unter den Fremdvölkern Russlands im ersten Weltkrieg. Helsinki, 1978. ss. 43-44.
9. კ. ხალია, დამოუკიდებლობის კომიტეტი, „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1962 წ., N 30 - 40 გვ. 17.
10. ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. ჩემი სტატია — საქართველოს შესაძლოა გერმანელი მეფე ჰელოდა, „კავკასიონი“, 1995 წ., 26 მაისი.
11. რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, წიგნში „დაბრუნება“, ტ. 3, თბ., 1992 წ., გვ. 149.
12. გ. ვეშაპელი, სუხომლინოვის გასამართლება და ჭორები საქართველოზე, „საქართველო“, 1917 წ., 18 აგვისტო.
13. მწერეთლის ერთ გვიანდელ წერილში ივ. ჯავახიშვილისადმი საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის შესახებაცაა საუბარი, იხ. მწერეთელი, დასახ. წიგნი, გვ. 315.
14. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის ფონდი, საქ. N 1369.
15. იქვე, საქმე N 1548, 1861, 1884.
16. რ. გაბაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 163.

17. S. Zeterberg, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.
18. ს.ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984 წ., გვ. 97.
19. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ივ. ჯავახიშვილის ფონდი, ნაწ. 1, შენახვ. ერთ. N647, ფურც. 2.
20. ს.ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988 წ., გვ. 24-25.
21. ს.ჯორბენაძე, დასახ. წიგნი, გვ. 97.
22. გ.შარაძე, უფრო ახლოს რომ გავეცნოთ, „საქართველოს სამრეკლო“, 1993 წ., 17 მარტი.
23. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის ფონდი, საქ. N2969.
24. ს.ჯორბენაძე, დასახ. წიგნი, გვ. 155.
25. „საქართველო“, 1917 წ., 19 მარტი.
26. იქვე, 1917 წ., 30 მარტი.
27. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ., 1986 წ., N2-3, გვ. 130-131.
28. იქვე.
29. „საქართველო“, 1917 წ., 27 აპრილი.
30. გრ.რობაქიძე, ივანე ჯავახიშვილი, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1986 წ., N2-3, გვ. 191.
31. ს.ჯორბენაძე, დასახ. წიგნი, გვ. 235.
32. ს.ჭილაია, უცნობი ავტორის დღიური, „ლიტერატურული საქართველო“, 1967 წ., 11 აგვისტო.
33. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 25 მაისი.
34. „კლდე“, 1918 წ., 21 დეკემბერი.
35. ივ.ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919 წ., გვ. 58.
36. იქვე, გვ. 60-61.
37. საქ. ცსხა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდი, საქ. N753, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიულეტენი N10.
38. იქვე, ფ. 95, აღწ. 1, საქ. N42, ფურც. 95.
39. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 1 აგვისტო.
40. საქ. ცსხა, ფ. 1834, აღწ. 2, საქ. N86, N80, ფურც. 3-6.



41. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 7 მარტი.

42. საქ. ცხსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. N 191, ფურც. 135.

43. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ.ჯავახიშვილის ფონდი, საქ. N2216.

44. იქვე, საქ. N860, ფურც. 1.

45. იქვე, საქ. N859, ფურც. 1.

46. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., 18 თებერვალი.

47. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 471, აღწ. 1, საქ. N110, ფურც. 13.

48. მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს, თბ., 1994 წ., რ. პეტრეველის წინასიტყვაობა.

49. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის ფონდი, საქ. N863.

50. „კავკასიონი“, პარიზი, 1968 წ., N XIII, გვ. 23-24.

1857/10



ქართული  
ენობის  
სამეცნიერო  
სამუშაოების  
სამსახური